საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- --მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

16 ივლისი 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №237/17

-- (-- წარმომადგენელი) 2017 წლის 29 დეკემბრის №237 საჩივრის საფუძველზე, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 30 აპრილის №237/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, -- სასამართლოში განიხილება -- სარჩელი მოპასუხის, -- მიმართ. აღნიშნული სარჩელი სასამართლოში შეტანილია 2017 წლის 11 აპრილს. არაერთი მოთხოვნის და თხოვნის შედეგად, საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიღებულია 2017 წლის 25 სექტემბერს. აღნიშნულ განჩინებაში დაშვებული უზუსტობის აღმოფხვრის მიზნით,

2017 წლის 23 ოქტომბერს მიღებულია კიდევ ერთი განჩინება. მიუხედავად ამისა, წინამდებარე საჩივრის წარდგენის დროისთვისაც კი, ამ საქმეზე არაა დაწერილი კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

-- ცნობილი გახდა, რომ უზუსტობის გასწორების თაობაზე განჩინების საჯარო შეტყობინების წესით განთავსებაზე, სასამართლო იმსჯელებს 2018 წელს. შესაბამისად, საჯარო შეტყობინების გზით განჩინების გასავრცელებლად სასამართლოს 2 თვის განმავლობაში არაფერი გაუკეთებია. გაურკვეველია, რატომ არ არის სასამართლო დაინტერესებული, რომ ჩააბაროს მოპასუხეს გზავნილი, მით უფრო იმ ფონზე, რომ საიჯარო ხელშეკრულების ვადა, რომლის შეწყვეტილად ცნობასაც ითხოვდა მოსარჩელე, ამოიწურა 2017 წლის ნოემბრის თვეში.

საჩივრის ავტორის აზრით, მოსამართლე -- უმოქმედობის გამო, უხეშად ილახება მხარის საპროცესო უფლებები და ზიანი ადგება სასამართლოს რეპუტაციას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

--, წარმომადგენლების, -- და -- მეშვეობით, მოპასუხის, -- მიმართ, -- სასამართლოს სარჩელით მიმართა 2017 წლის 11 აპრილს და მოითხოვა, -- შორის 2015 წლის 06 ივლისს დადებული ქირავნობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, გადაუხდელი საიჯარო ქირის 2000 ლარის და 2017 წლის პირველი აპრილიდან მოყოლებული ქვეიჯარის ობიექტის დაბრუნებამდე ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე, ზიანის ანაზღაურების სახით 400 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე --

2017 წლის 23 მაისს მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა დოკუმენტები, რომლითაც დასტურდებოდა, რომ მოპასუხისათვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება, მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა, ვერ მოხერხდა.

2017 წლის 25 მაისს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და ითხოვა, სარჩელის მოპასუხისათვის სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით ან საჯარო შეტყობინების გზით ჩაბარება. განცხადებაზე დართული იყო დოკუმენტი, რომლითაც დასტურდებოდა, რომ მოპასუხის ოჯახის წევრი (დედა) უარს ამბობდა სასამართლო გზავნილის ჩაბარებაზე.

2017 წლის 25 მაისის და 2017 წლის 15 ივნისს მოსარჩელემ იდენტური განცხადებებით ისევ მიმართა სასამართლოს და ისევ წარმოადგინა საბუთები, რომლებიც ადასტურებდა მოპასუხის ოჯახის წევრების მიერ სასამართლო გზავნილის ჩაბარებაზე უარის თქმას.

2017 წლის 21 ივნისს მიღებულ იქნა განჩინება, რომლითაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს დაევალა სასამართლო გზავნილის მოპასუხისათვის ჩაბარება.

2017 წლის 21 ივნისს მიღებულ იქნა კიდევ ერთი განჩინება, სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხისათვის საჯარო შეტყობინების გზით ჩაბარების თაობაზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ისანი-სამგორის სამმართველოს საუბნო სამსახურს 2017 წლის 21 ივნისის განჩინება გაეგზავნა 2017 წლის 28 ივნისს. საჯარო შეტყობინების შესახებ 2017 წლის 21 ივნისის განჩინება სასამართლოს შენობაში და ვებგვერდზე განთავსდა 2017 წლის 26 ივნისს (თვალსაჩინო ადგილიდან ჩამოიხსნა და ვებგვერდიდან ამოიშალა 2017 წლის 03 ივლისს).

2017 წლის 23 ივნისს -- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარეს, ბატონ -- მოხსენებითი ბარათით მიმართა მოსამართლე -- და ითხოვა, დეკრეტულ შვებულებაში გასვლის გამო, საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაცემა.

2017 წლის 10 ივლისიდან საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე --

2017 წლის 10 ივლისს სასამართლოში მიღებულ იქნა წერილი, რომლითაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ისანი-სამგორის სამმართველოს საუბნო სამსახური იტყობინებოდა, რომ ვერ მოხერხდა სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხისათვის ჩაბარება, რადგან მოპასუხის დედამ უარი განაცხადა სასამართლო გზავნილის მიღებაზე.

2017 წლის 11 აგვისტოს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ იქნა განცხადება სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების თაობაზე.

2017 წლის 25 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით (შესაგებელის კანონით განსაზღვრულ ვადაში წარმოუდგენლობის გამო), -- სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად. განჩინების გასაჩივრების ვადად განისაზღვრა 10 დღე.

საქმის მასალებით მტკიცდება, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მოპასუხისათვის ჩაბარება ვერ მოხერხდა. 2017 წლის 09 ოქტომბერს სასამართლოს განცხადებით მიმართა მოსარჩელემ და მოითხოვა, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და სააღსრულებო ფურცელი.

2017 წლის 25 სექტემბრის განჩინება მოსარჩელეს ჩაბარდა 2017 წლის 09 ოქტომბერს. მოპასუხეს აღნიშნული განჩინება გაეგზავნა რამოდენიმეჯერ, კერძოდ 2017 წლის 03 ოქტომბერს 2 ჯერ და 2017 წლის 16 ოქტომბერს. თუმცა, სასამართლო გზავნილის მოპასუხისათვის ჩაბარება ვერ მოხერხდა.

2017 წლის 23 ოქტომბერს, მოსარჩელის განცხადების საფუძველზე, მიღებულ იქნა განჩინება 2017 წლის 25 სექტემბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ (გასაჩივრების ვადა 12 დღე).

აღნიშნული განჩინება მხარეებს გაეგზავნათ 2017 წლის 30 ოქტომბერს. საქმის მასალებით დგინდება, რომ მოპასუხის მისამართზე საქართველოს ფოსტის კურიერმა ვიზიტი განახორციელა სამჯერ, 2017 წლის 09, 12 და 20 დეკემბერს. თუმცა, 2017 წლის 23 ოქტომბრის განჩინება -- ვერ ჩაბარდა.

2017 წლის 28 დეკემბერს მიღებულ იქნა განჩინება მოპასუხისათვის 2017 წლის 25 სექტემბრის და 23 ოქტომბრის განჩინებების საჯარო შეტყობინების გზით ჩაბარების თაობაზე.

საჯარო შეტყობინების შესახებ 2017 წლის 28 დეკემბრის განჩინება სასამართლოს შენობაში და ვებგვერდზე განთავსდა 2018 წლის 15 იანვარს (თვალსაჩინო ადგილიდან ჩამოიხსნა და ვებგვერდიდან ამოიშალა 2018 წლის 22 იანვარს).

2017 წლის 25 სექტემბრის და 2017 წლის 23 ოქტომბრის განჩინებები კანონიერ ძალაში შევიდა 2018 წლის 02 თებერვალს. სააღსრულებო ფურცელი საქმეზე გაიცა 2018 წლის 20 თებერვალს.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] - მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და დავადგინოთ, კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის პრეტენზია ეხება მოსამართლე -- მიერ მოპასუხისათვის სარჩელის და თანდართული დოკუმენტების გაგზავნის შეგნებულად დაგვიანებას, რამაც შეაფერხა დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების ვალდებულების დარღვევას. აღნიშნული გარემოებები შეიძლება შეიცავდეს მოსამართლის მიერ ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] - მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის, „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების" ჩადენის ნიშნებს.

იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლე -- მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების ფაქტს, საჭიროა შეფასდეს საერთაშორისო პრაქტიკა და ქართული კანონმდებლობის მიდგომა ამ კონკრეტულ სამართალდარღვევასთან მიმართებაში.

ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ნორმატიული აქტების და პრაქტიკის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) შედარებითი ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობად ან არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ განმარტა, რომ მე-6 (§1) მუხლი

ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული საჩივარი (იხ. Golder c. Royaume-Uni, 21 février 1975, §§ 28-36, série A no 18). სასამართლოსათვის საჩივრის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას (იხ. Hornsby, ხსენებული ზემოთ §§ 40 და შემდგომ). სტრასბურგის სასამართლომ მართლმსაჯულების ეფექტიანად აღსრულების გამოჩენაზე ყურადღება გაამახვილა მოცემულ საქმეებში (Vermeulen v. Belgium, § 34; Lobo Machado v. Portugal, § 32). მართლმსაჯულების ცხადად აღსრულება ხელს უწყობს მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიზნის, კერძოდ, სამართლიანი სასამართლოს მიღწევას (,,დინეტი საფრანგეთის წინააღმდეგ'' (Diennet v. France, § 33); ,,მარტინი საფრანგეთის წინააღმდეგ'' (Martinie v. France [GC], § 39)).

წინამდებარე საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობის ფაქტზე სწორედ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების კონტექსტში. შესაბამისად, აუცილებელია დადგინდეს, ჰქონდა თუ არა მოსამართლეს ვალდებულება შეესრულებინა ის საპროცესო მოქმედება, რომელსაც მხარე სადავოდ ხდის და არის თუ არა ამ ვალდებულების შესრულება უარყოფილი ან დაგვიანებული მოსამართლის მიერ. ასევე, მნიშვნელოვანია შეფასდეს საპროცესო ღონისძიებები, რომლებიც განახორციელა მოსამართლემ მხარეთა მოთხოვნის შესაბამისად და მოსამართლის ბრალეულობა კონკრეტულ სავარაუდო გადაცდომასთან მიმართებაში. ვინაიდან საჩივარი ეხება იმ შესაძლო გადაცდომის ჩადენის ფაქტს, რომლებიც ეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების და მხარისათვის მის ჩაბარებას, წინამდებარე დასკვნის ფარგლებში მოხდა მხოლოდ მოსამართლე -- მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებების შეფასება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლის პირველი წინადადების შესაბამისად, „სარჩელის (განცხადების) სასამართლოში შეტანისას სასამართლოს კანცელარია ახდენს სარჩელის (განცხადების) რეგისტრაციას და, თუ სარჩელი (განცხადება) შეაქვს იურიდიულ პირს, ინდივიდუალურ მეწარმეს, ადვოკატს ან წარმომადგენელს (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა), ან თუ სარჩელი (განცხადება) შეიტანება იურიდიული პირის წინააღმდეგ, მოსარჩელეს (წარმომადგენელს) გადასცემს გზავნილს (სარჩელის (განცხადების) და თანდართული დოკუმენტების ასლებს) მოპასუხისათვის ჩასაბარებლად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სახეზეა 183-ე მუხლის წინაპირობები, „მოსარჩელე ვალდებულია უზრუნველყოს მოპასუხისათვის სასამართლო გზავნილის ფოსტით, სასამართლო კურიერის მეშვეობით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით ჩაბარება ან მისი

ელექტრონული ფოსტით გაგზავნა ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესების დაცვით მისთვის გზავნილის გადაცემიდან 2 თვის ვადაში.“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „თუ მხარეებს, მათ წარმომადგენლებს, აგრეთვე მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებსა და თარჯიმნებს ამ კოდექსით დადგენილი წესით ვერ ეცნობათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი, მოსამართლეს შეუძლია აღნიშნული პირებისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება განჩინებით დაავალოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ანდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურებს (უბნის ინსპექტორებს). ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ანდა უბნის ინსპექტორები ვალდებული არიან, განჩინებით დადგენილ ვადაში უზრუნველყონ მხარეებისათვის, მათი წარმომადგენლებისათვის, აგრეთვე მოწმეებისათვის, ექსპერტებისათვის, სპეციალისტებისა და თარჯიმნებისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება და მისი ჩაბარების, ჩაბარების შეუძლებლობის მიზეზების ან ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აცნობონ მოსამართლეს.“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის ადგენს - „თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.” „სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება“ მისი შესაბამისი წესით გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლი მე-7 ნაწილის მიხედვით, „სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება...“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232^1-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში, „...თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.“ მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, „...თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლი იძლევა სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის წინაპირობებს. ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის, სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრება, თუ იგი არ იყო ამ წესით გასაჩივრებული.“

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსამართლემ განახორციელა ყველა საჭირო საპროცესო მოქმედებები და საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თვალსაზრისით, მის ქმედებებს უარყოფითი შედეგი არ მოჰყოლია. კანონიერ ძალაში შესული

გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით მხარემ სასამართლოს მიმართა 2017 წლის 09 ოქტომბერს, თუმცა, 2017 წლის 25 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2018 წლის 02 თებერვალს. შესაბამისად, მოსამართლე მოკლებული იყო შესაძლებლობას, ჩაებარებინა მხარისათვის კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილება მანამ, სანამ შესრულდებოდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში გათვალისწინებული გარემოებები.

მოყვანილი ფაქტების საფუძველზე, იმის გათვალისწინებით, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ვადას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა პირდაპირ არ ადგენს, მოსამართლე -- მოქმედებდა მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და მისი მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (კენჭისყრაში მონაწილე 15 წევრიდან 15 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №237/17, მოსამართლე -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი